შპს „თითი ედვაიზორი_“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 1 აპრილიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდზე

შპს „თითი ედვაიზორი“

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 5

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 7

შპს „თითი ედვაიზორი“
ს/კ 405608846

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
თარიღი: 2024 წლის 1 აპრილიდან 30 ივნისის პერიოდისთვის
(ეროვნულ ვალუტაში)

	შენიშვნა	30 ივნისი 2024
აქტივები		
ძირითადი საშუალებები		6,904
სულ გრძელვადიანი აქტივები		**6,904**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	237,674
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	8	207,656
სხვა აქტივები		1,381
სულ მიმდინარე აქტივები		**446,712**
სულ აქტივები		**453,616**
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		1,005,342
დაგროვილი ზარალი		(592,714)
სულ საკუთარი კაპიტალი	9	**412,628**
ვალდებულებები		
გადასახდელი ხელფასები		1,375
სხვა ვალდებულებები		7,647
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		31965.57
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**40,988**
სულ ვალდებულებები		**40,988**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**453,616**

2024წლის 01 აპრილი-30 ივნისის პერიოდის
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024
წლის 15 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:
დირექტორი :
ლილია ელბაქიძე

7- 12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თითი ედვაიზორი“
ს/კ 405608846

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
თარიღი: 2024 წლის 1 აპრილიდან 30 ივნისის პერიოდისთვის
(ეროვნულ ვალუტაში)

	შენიშვნა	2024წლის 1 აპრილიდან 30 ივნისი
ამონაგები	6	230,680
სულ საოპერაციო ამონაგები		**230,680**
დასაქმებულთა გასამრჯელოები		(317560.86)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი		(64,652)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები		(34,735)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა		(11)
იჯარის ხარჯი		(7,426)
მივლინების ხარჯები		(4,685)
სხვა ხარჯები		(5,415)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		**(203,804)**
საპროცენტო შემოსავალი		711
წმინდა მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან		430
პერიოდის ზარალი		**(202,664)**
სხვა სრული შემოსავალი		**-**
პერიოდის ზარალი და სხვა სრული შემოსავალი		**(202,664)**

2024წლის 01 აპრილი-30 ივნისის პერიოდის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 15 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი :
ლილია ელბაქიძე

7- 12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თითი ედვაიზორი“
ს/კ 405608846

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
თარიღი: 2024 წლის 1 აპრილიდან 30 ივნისის პერიოდისთვის
(ეროვნულ ვალუტაში)

	საწესდებო კაპიტალი	**გაუნაწილებელი მოგება**	**სულ კაპიტალი**
ნაშთი 2024 წლის 1 აპრილის მდგომარეობით	693,342	(390,050)	**303,292**
წლის ზარალი და სხვა სრული შემოსავალი			
2024 წლის მეორე კვარტლის ზარალი	-	(202,664)	**(202,664)**
ოპერაციები კომპანიის მფლობელთან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	312,000	-	**312,000**
ნაშთი 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	**1,005,342**	**(592,714)**	**412,628**

2024 წლის 01 აპრილიდან 30 ივნისის პერიოდის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 15 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ :
დირექტორი :
ლილია ელბაქიძე

7- 12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თითი ედვაიზორი“
ს/კ 405608846
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
თარიღი: 2024 წლის 1 აპრილიდან 30 ივნისის პერიოდისთვის
(ეროვნულ ვალუტაში)

ფულადი ნაკადების უწყისი	30 ივნისი 2024
შემოსავალი	**503,171**
საოპერაციო შემოსავალი	185897.08
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)	711
ხაზინიდან დაბრუნება	4,562
კაპიტალის შენატანი	312,000
გასავალი	**(462,134.63)**
საბანკო საკომისიო	(764.85)
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი	(90510.00)
ძირითადი საშუალების შესყიდვის ხარჯი	(1795.00)
ხელფასების ხარჯი	(257916.67)
მივლინების ხარჯი	(4886.89)
იურიდიული მომსახურების ხარჯი	(19543.40)
საკონსულტაციო მომსახურება	(9066.88)
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	(2124.00)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(32398.82)
პლატფორმის მომსახურების ხარჯი	(31109.17)
სხვა საერთო ხარჯი	(4446.85)
იჯარა	(9400.12)
სადეპოზიტო თანხა	150000
-	
კონვერტაციის გავლენა	**1,828.02**
-	

ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	16,620
ფულადი სახსრები პერიოდის განმავლობაში	41,036.06
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	**207656,83**

2024წლის 01 აპრილი-30 ივნისის პერიოდის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 15 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:
დირექტორი :
ლილია ელბაქიძე

7- 12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს თითი ედვაიზორი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 1 აპრილიდან 30 ივნისის პერიოდზე

შესავალი

1. **კომპანია და მისი საქმიანობა**

შპს თითი ედვაიზორი (შემდგომში – კომპანია) (ს/კ 405608846) დაფუძნდა 2023 წლის 29 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, გამზირი ი.ჭავჭავაძე N 49ბ, ნიშნული -5.10
კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფასიან ქაღალდებთან და სასაქონლო კონტრაქტებთან დაკავშირებული საბროკერო მომსახურება.
დაარსების დღიდან (29.03.2023) 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის 100 %-ის მფლობელია კონსტანტინე ოსიპოვი.

2. **მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები**

მომზადების საფუძვლები

განცხადება შესაბამისობაზე :
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის გამოყენების თარიღი არის 2023 წლის 29 მარტი . კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის და მეოთხე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებას 2024 წლის 1 აპრილის დასაწყისისთვის და 30 ივნისის დასასრულისთვის,აღნიშნული პერიოდის სრული შემოსავლის და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმო :

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა უნარი გააგრძელოს საქმიანობა ,როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დააკმაყოფილდა იმით ,რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად .ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ,რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით .

საოპერაციო გარემო :
კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. საქართველოს განვითარებად ბაზარს არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა,როგორც უფრო განვითარებულ საბაზრო

ეკონომიკებს ახასიათებთ.საქართველოში ოპერაციები შესაძლოა მოიცავდეს რისკებს,რომლებიც,ჩვეულებრივ არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე,მათ შორის რისკს,რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ,არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები,ხოლო სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს მომსახურების საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ მომსახურების ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

შენიშვნა N6_ ამონაგები

მოცემულ საოპერაციო პერიოდში შპს თითი ედვაიზორის საოპერაციო შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სს საქართველოს ბანკთან, სს თიბისი ბანკთან, MAREX FINANCIAL და KATHREIN PRIVATBANK AK -თან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა .

ამონაგები	6	230,680
სულ საოპერაციო ამონაგები		**230,680**

საიდანაც ,

- **სს საქართველოს ბანკი 119191.63 ლარი**
- **სს თიბისი ბანკი 62420,34 ლარი**
- **KATHREIN PRIVATBANK AK 23372,36 ლარი**
- **MAREX FINANCIAL 25695,98 ლარი**

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მომსახურების მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

	30.06.2024
კურსთაშორისი სხვაობა	430
არასაოპერაციო შემოსავალი (საპროცენტო შემოსავალი)	711
სულ	***1141***

გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

შენიშვნა N8_ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულის ნაშთი ბანკში

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აშშ დოლარში	16544.8
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ევროში	11525
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში ლარი	178227.89
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში შვეიცარული ფრანკი	1358
სულ	**207656.38**

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს წამყვან კომერციულ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებს. მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე 2024 წლის 1 აპრილიდან 2024 წლის 30 ივნისის პერიოდისთვის დაირიცხა და მიღებულ იქნა ფულადი ფორმით საპროცენტო შემოსავალი 711.25 ლარის ოდენობით.

შენიშვნა N7_სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება სამართლიან ღირებულებასთან

მიახლოებული მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო. პერიოდის ბოლოს კომერციულ ბანკთან -სს საქართველოს ბანკი გაფორმებული 2023 წლის 18 მაისის ხელშეკრულების თანახმად მისაღები სავაჭრო მოთხოვნები შეადგენს 140646,12 ლარს .სს თიბისი ბანკთან გაფორმებული 2023 წლის 6 დეკემბრის ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურების მისაღები თანხა შეადგენს 36374 ლარს და 2024 წლის 1 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მისაღები თანხა შეადგენს 37282 ლარს . ასევე სავაჭრო მოთხოვნა ფიქსირდება უცხოური ბანკის KATHREIN PRIVATBANK AK-ის მიმართ 7769.55 ევროს (23372.36 ლარი) ოდენობით .

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

დასაქმებულთა გასამრჯელოები	(317560.86)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(64652)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები	(34735)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(11)
იჯარის ხარჯი	(7426)
მივლინების ხარჯები	(4685)
სხვა ხარჯები	(5415)
საოპერაციო ხარჯები	**(434484,61)**

კაპიტალი

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 2024 წლის, 30 ივნისის შემდეგ, პარტნიორის გადაწყვეტილებით გაიზარდა საწესდებო კაპიტალი 5000.00 (ხუთი ათასი) ლარით, რომელიც სრულად შეტანილ იქნა კაპიტალში ფულადი ფორმით.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2024 წლის 15 აგვისტოს .

დირექტორი :
ლილია ელბაქიძე